შპს „მონაკო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

შპს „მონაკო“
სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მონაკო“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

კონსოლოდორებული ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მონაკო“-ს (შემდეგში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება მმართველობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას), რომლებიც სავარაუდოა, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ამ ფინანსურ ინფორმაციაზე არ ვრცელდება დამატებით ინფორმაციაზე, მათ შორის, მმართველობის ანგარიშგებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს არსებითად არასწორი ან არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა დამატებით ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის. ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და შევაფასოთ, რამდენად მოიცავს მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.

- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებთ და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის დასკვნის ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება არის დავით გვეტაძე.

25 მარტი, 2022
თბილისი, საქართველო

აქტივები	**შენიშვნა**	**31-დეკ-2020**	**31-დეკ-2019**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	2,348,924	2,824,098
ინვესტიცია საწარმოში		1,894,322	3,818,398
გაცემული სესხები	6	-	606,190
არამატერიალური აქტივები	7	157,872	241,582
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,401,119**	**7,490,267**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	1,501,249	1,968,586
გადახდილი ავანსები		8,291	169,956
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	811,142	1,926,874
მისაღები დივიდენდები		-	160,183
ფული და ფულის ექვივალენტები	11	1,463,710	2,306,717
საგადასახადო აქტივი		161,875	483,834
სულ მიმდინარე აქტივი		**3,946,268**	**7,016,150**
სულ აქტივები		**8,347,387**	**14,506,417**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		5,916,476	5,916,476
გაუნაწილებელი მოგება		(1,193,345)	4,655,001
სულ კაპიტალი		**4,723,131**	**10,571,477**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	12	-	1,283,800
სულ გძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**1,283,800**
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი		-	65,650
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,624,255	2,585,491
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**3,624,255**	**2,651,140**
სულ ვალდებულებები		**3,624,255**	**3,934,940**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**8,347,386**	**14,506,417**

ხელმომწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

ზვიად მუკბანიანი

MONACO 404420408 GEORGIA. "MONACO" LTD

25 მარტი, 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

	შენიშვნა	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
შემოსავალი	14	10,474,222	40,908,757
თვითღირებულება		(908,666)	(950,128)
მთლიანი მოგება		**9,565,556**	**39,958,628**
სხვა შემოსავალი		-	-
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯი		-	-
საოპერაციო ხარჯი		-	-
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(10,700,595)	(35,141,686)
მთლიანი საოპერაციო მოგება		**(1,135,039)**	**4,816,942**
მიღებული დივიდენდი დაკავშირებული კომპანიისგან	17	178,947	789,474
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		(686,481)	2,176,447
არასაოპერაციო შემოსავალი		24,073	21,079
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	1,145	129,784
საგადასახადო ხარჯი	18	(1,464,755)	(3,421,159)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(448,090)	(44,028)
ფინანსური ხარჯი	19	(36,176)	(206,545)
მოგება დაბეგვრამდე		**(3,566,375)**	**4,261,994**
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის შედეგი		**(3,566,375)**	**4,261,994**

ხელმომწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

ზვიად მუკბანიანი

25 მარტი 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „მონაკო“
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

-	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,916,476**	**2,940,000**	**8,856,476**
პერიოდის შედეგი	-	1,715,001	1,715,001
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,916,476**	**4,655,001**	**10,571,477**
პერიოდის შედეგი	-	(5,848,345)	(5,848,345)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,916,476**	**(1,193,345)**	**4,723,131**

ხელმომწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

ზვიად მუკბანიანი

25 მარტი 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „მონაკო“
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერი

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**31-დეკ-2020**	**31-დეკ-2019**
მოგება/ზარალი დაბგვრამდე	(3,566,375)	1,942,051
შესწორებები:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,093,477	1,270,097
საპროცენტო ხარჯი	33,471	193,925
მოგება გრძელვადიანი აქტივის გაყიდვიდან	(244)	(114,534)
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	**(2,439,672)**	**3,291,538**
ცვლილებები:		
მარაგების ზრდა/(შემცირება)	467,337	(810,582)
გადახდილი ავანსების (ზრდა)/შემცირება	161,665	4,798
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	1,115,732	235,159
მისაღები დივიდენდების ზრდა/(შემცირება)	160,183	-
საგადასახადო აქტივის ზრდა/(შემცირება)	321,958	19,252
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	1,038,765	1,121,138
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**825,968**	**3,861,302**
გადახდილი პროცენტი	(99,763)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი სახსრებუ საიპერაციო საქმიანობიდან	**726,205**	**3,861,302**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(210,977)	(1,381,764)
შემოსავალი ძირითადი საშულებების გასვლიდან	301,823	73,813
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
მიღებული პროცენტი	286,505	-
გაცემული სესხის დაფარვა	321,540	1,537,800
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**698,891**	**229,849**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(357,895)	(1,578,947)
მიღებული სესხის დაფარვა	(1,356,750)	(2,406,018)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**(1,714,645)**	**(3,984,966)**
ფულადი სახსრების გადაფასების ეფექტი	(553,460)	6,494
წმინდა ცვლილება ფული და ფულის ექვივალენტებში	**(843,008)**	**112,679**
ფული და ფული ექვივალენტები პერიოდის დასაწყისი	2,306,717	2,194,038
ფული და ფული ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**1,463,710**	**2,306,717**

ხელმომწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

ზვიად მუკბანიანი

25 მარტი 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	2,348,924	2,824,098
ინვესტიცია საწარმოში		1,894,322	3,818,398
გაცემული სესხები	6	-	606,190
არამატერიალური აქტივები	7	157,872	241,582
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,401,119**	**7,490,267**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	1,501,249	1,968,586
გადახდილი ავანსები		8,291	169,956
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	811,142	1,926,874
მისაღები დივიდენდები		-	160,183
ფული და ფულის ექვივალენტები	11	1,463,710	2,306,717
საგადასახადო აქტივი		161,875	483,834
სულ მიმდინარე აქტივი		**3,946,268**	**7,016,150**
სულ აქტივები		**8,347,387**	**14,506,417**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		5,916,476	5,916,476
გაუნაწილებელი მოგება		(1,193,345)	4,655,001
სულ კაპიტალი		**4,723,131**	**10,571,477**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	12	-	1,283,800
სულ გძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**1,283,800**
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი		-	65,650
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,624,255	2,585,491
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**3,624,255**	**2,651,140**
სულ ვალდებულებები		**3,624,255**	**3,934,940**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**8,347,386**	**14,506,417**

ხელმომწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

ზვიად მუკბანიანი

25 მარტი, 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

	შენიშვნა	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
შემოსავალი	14	10,474,222	40,908,757
თვითღირებულება		(908,666)	(950,128)
მთლიანი მოგება		**9,565,556**	**39,958,628**
სხვა შემოსავალი		-	-
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯი		-	-
საოპერაციო ხარჯი		-	-
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(10,700,595)	(35,141,686)
მთლიანი საოპერაციო მოგება		**(1,135,039)**	**4,816,942**
მიღებული დივიდენდი დაკავშირებული კომპანიისგან	17	178,947	789,474
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		(686,481)	2,176,447
არასაოპერაციო შემოსავალი		24,073	21,079
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	1,145	129,784
საგადასახადო ხარჯი	18	(1,464,755)	(3,421,159)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(448,090)	(44,028)
ფინანსური ხარჯი	19	(36,176)	(206,545)
მოგება დაბეგვრამდე		**(3,566,375)**	**4,261,994**
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის შედეგი		**(3,566,375)**	**4,261,994**

ხელმომწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

ზვიად მუკბანიანი

25 მარტი 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „მონაკო“
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

-	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,916,476**	**2,940,000**	**8,856,476**
პერიოდის შედეგი	-	1,715,001	1,715,001
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,916,476**	**4,655,001**	**10,571,477**
პერიოდის შედეგი	-	(5,848,345)	(5,848,345)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,916,476**	**(1,193,345)**	**4,723,131**

ხელმომწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

ზვიად მუკბანიანი

25 მარტი 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მოგება/ზარალი დაბგვრამდე	(3,566,375)	1,942,051
შესწორებები:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,093,477	1,270,097
საპროცენტო ხარჯი	33,471	193,925
მოგება გრძელვადიანი აქტივის გაყიდვიდან	(244)	(114,534)
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	**(2,439,672)**	**3,291,538**
ცვლილებები:		
მარაგების ზრდა/(შემცირება)	467,337	(810,582)
გადახდილი ავანსების (ზრდა)/შემცირება	161,665	4,798
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	1,115,732	235,159
მისაღები დივიდენდების ზრდა/(შემცირება)	160,183	-
საგადასახადო აქტივის ზრდა/(შემცირება)	321,958	19,252
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	1,038,765	1,121,138
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**825,968**	**3,861,302**
გადახდილი პროცენტი	(99,763)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი სახსრებუ საიპერაციო საქმიანობიდან	**726,205**	**3,861,302**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(210,977)	(1,381,764)
შემოსავალი ძირითადი საშულებების გასვლიდან	301,823	73,813
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
მიღებული პროცენტი	286,505	-
გაცემული სესხის დაფარვა	321,540	1,537,800
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**698,891**	**229,849**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(357,895)	(1,578,947)
მიღებული სესხის დაფარვა	(1,356,750)	(2,406,018)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**(1,714,645)**	**(3,984,966)**
ფულადი სახსრების გადაფასების ეფექტი	(553,460)	6,494
წმინდა ცვლილება ფული და ფულის ექვივალენტებში	**(843,008)**	**112,679**
ფული და ფული ექვივალენტები პერიოდის დასაწყისი	2,306,717	2,194,038
ფული და ფული ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**1,463,710**	**2,306,717**

ხელმომწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

ზვიად მუკბანიანი

25 მარტი 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

1. შესავალი

კომპანიის საქმიანობა

“მონაკო” არის შეზღუდული პასუხიმგებლობის მქონე საზოგადოება (ს/ნ 404420408), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად 2012 წლის 12 აპრილიდან. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი. კომპანია ოპერირებს სათამაშო ბიზნესის სფეროში და გააჩნია ელექტრონული სამორინე.

კომპანიის 100%-ის მფლობელია შპს „სტარგეინ ინვესტმენტს“-ი, კვიპროსი.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - ზვიად მუკბანიანი.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

კონსოლიდირების საფუძველი

(i) საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდის გამოყენებით შეძენის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც კონტროლი „ჯგუფს“ გადაეცემა.

„ჯგუფი“ გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

ოპერაციის დანახარჯები, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია სესხის ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, რომელსაც „ჯგუფი“ გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებაში, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

ნებისმიერი პირობითი კომპენსაციის აღიარება სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისთვის. თუ პირობითი კომპენსაცია კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი, მისი ხელახლა შეფასება არ ხდება და გადახდა აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვაგვარად, სხვა პირობითი გადახდა

გადაფასდება სამართლიანი ღირებულებით, ყოველ ანგარიშგების თარიღში და შემდგომი ცვლილებები პირობითი კომპენსაციის სამართლიან ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში.

(ii) არამაკონტროლებელი წილი

არამაკონტროლებელი წილის შეფასება ხდება წილის მყიდველის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილით შესყიდვის თარიღით.

შვილობილ კომპანიაში „ჯგუფის“ წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება წილობრივი მონაწილეობის გარიგების სახით.

(iii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ „ჯგუფის“ მიერ კონტროლირებად ერთეულებს. „ჯგუფი“ აკონტროლებს ერთეულს თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, კონტროლის მოპოვების მომენტიდან მისი დაკარგვის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება საჭიროებისამებრ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს „ჯგუფის“ მიერ მიღებულ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკასთან. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელი წილის ზარალი მიკუთვნებულია არამაკონტროლებად წილზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არამაკონტროლებელი წილის უარყოფით ბალანსს.

(iv) კონტროლის დაკარგვა

კონტროლის დაკარგვისას, „ჯგუფი“ წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის და შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას. კონტროლის დაკარგვით გამოწვეული ნებისმიერი ზედმეტობა ან ნაკლებობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ „ჯგუფი“ შეინარჩუნებს რაიმე სახის წილს შვილობილ კომპანიაში, ამგვარი წილი სამართლიანი ღირებულებით შეფასდება კონტროლის დაკარგვის დღეს. შემდეგ ის აღიარდება როგორც ინვესტიცია მეკავშირე კომპანიებში, ან როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივი, შენარჩუნებული გავლენის დონიდან გამომდინარე.

(v) ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

„ჯგუფის“ ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში მოიცავს წილს მეკავშირე კომპანიებსა ან ერთობლივ საწარმოებში.

მეკავშირე კომპანია წარმოადგენს ორგანიზაციას, რომლებზეც „ჯგუფს“ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მაგრამ არ აკონტროლებს და არც ერთობლივად აკონტროლებს მას ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკების შესაბამისად. მნიშვნელოვანი გავლენა გულისხმობს „ჯგუფის“ მიერ სხვა საწარმოში 20%-დან 50%-მდე ხმის უფლების ფლობას. ერთობლივი საწარმო წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელსაც „ჯგუფი“ ერთობლივად აკონტროლებს და მას აქვს უფლება მის წმინდა აქტივებზე და არა მის აქტივებსა და ვალდებულებებზე.

წილი მეკავშირე კომპანიასა და ერთობლივ საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ინვესტიციის თვითღირებულება მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს მეკავშირე კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებში „ჯგუფის“ მოგებ-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის წილს, მათ „ჯგუფის“ სააღრიცხვო პოლიტიკებთან მორგების შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც იწყება მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი ამ უკანასკნელების დასრულებამდე.

როდესაც „ჯგუფის“ ზარალის წილი აღემატება მის წილს მეკავშირე კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებში, ამგვარი ინტერესის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერ გრძელვადიან ინვესტიციასთან ერთად, ნულამდე შემცირდება, ხოლო შემდგომი ზარალის აღიარება წყდება, გარდა შემთხვევებისა, როდესაც „ჯგუფს“ ექნება ვალდებულება ან როდესაც ის განახორციელებს გადახდას ინვესტიციის მიმღების სახელზე.

(vi) კონსოლიდირებისას გამორიცხული ოპერაციები

შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე შიდაჯგუფური ოპერაციებიდან წარმოშობილი ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი ელიმინირდება. შიდაჯგუფური მოგება, რომელიც წარმოიშვება მეკავშირე კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების ოპერაციებიდან, გამოირიცხება ინვესტიციების მიხედვით, „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად. შიდაჯგუფური ზარალი გამოირიცხება იგივე ფორმით, როგორც შიდაჯგუფური მოგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებს გაუფასურების მტკიცებულება.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნინული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.
რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს

რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს. ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპრცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტურმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცხოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) ჯგუფმა გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების კომპანიისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების

შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება- ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპულატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

	სასარგებლო ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	10-20%
ლიზინგით აღებული ქონების კეთილმოწყობა	
ოფისის აღჭურვილობა	20%
სათამაშო აპარატები	20%
ავეჯი და ინვენტარი	20%

სარემონტო და შენახვის ხარჯები პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხვდება. თუ მოსალოდნელია ამ ხარჯებისგან მომავალი სარგებელი, მაშინ ხდება მათი დაკაპიტალიზირება ძირითად საშუალებებზე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 5 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი გენერირდება სათამაშო აპარატების მეშვეობით. ამ ტიპის შემოსავალი აღიარდება ყოველდღიურად მოგების სახით (განსხვავება აპარატში მოთამაშის მიერ განთავსებულ თანხასა და გატანილ თანხას შორის). შემოსავალი სათამაშო აპარატის გაყიდვიდან აღიარდება საკონტრაქტო ვალდებულების წარმოქმნისთანავე. ბარის საქმიანობის რეალიზაცია აღიარებულია, როდესაც ხდება ბარში არსებული ნივთების გაყიდვა.

საპროცენტო, საიჯარო და სხვა შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

მოგების გადასახადი

2017 ფინანსური წლის დასაწყისიდან მოხდა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადს და რომლის მიხედვითაც კომპანია ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მხოლოდ დივიდენდის გაცემის მომენტში (რამდენიმე გამონაკლისით), ფასს და საგადასახადო მიზნებით მიღებული მოგება შესაბამისად ამ ცვლილებების შემდეგ ერთმანეთს გაუტოლდება და გადავადებული გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს კომპანია მომავალში ვეღარ გამოიყენეს, შესაბამისად მოხდა მათი ელიმინაცია ანგარიშგებიდან.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწედებო კაპიტალი.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

სტანდარტები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან და შემდგომ პერიოდებზე

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები"

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები" (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.

ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.

ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის" მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.

ფასიკ 22 "ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი ანაზღაურება" (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ინტერპრეტაცია ითვალისწინებს ოპერაციის თარიღის განსაზღვრის წესს უცხოურ ვალუტაში ოპერაციების შესახებ სტანდარტის გამოყენების დროს. ბასს 21. ინტერპრეტაცია გამოიყენება როდესაც საწარმო იხდის ან იღებს ანაზღაურებას წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კონტრაქტებისთვის. ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ ოპერაციის თარიღი არის დღე, რომელზეც საწარმო თავდაპირველად აღიარებს არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წინასწარი ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად. რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეულ გადახდასთან ან მიღებასთან დაკავშირებით. ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეული გადახდისთვის ან მიღებისთვის. არანაირი არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი კომპანიაზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

ფასიკ 23 "გაურკვევლობები მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ" (გამოცემულია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ბასს 12 მიუთითებს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესს, მაგრამ არ მიუთითებს გაურკვევლობების შედეგების ასახვის წესს. ინტერპრეტაცია განსაზღვრავს აღიარების და შეფასების მოთხოვნების წესს ბასს 12-ში, გაურკვევლობის შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ. საწარმომ უნდა განსაზღვროს განიხილოს თუ არა თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი ცალკე თუ სხვა ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმებთან ერთად, რომელი მიდგომის საფუძველზეც უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმომ უნდა დაუშვას, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს იმ თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც გააჩნია და სრული ინფორმაცია აქვს ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს. თუ საწარმოს დასკვნით არ არის შესაძლებელი რომ საგადასახადო

ორგანომ მიიღოს გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, გაურკვევლობის ეფექტი უნდა აისახოს დაკავშირებული დაბეგვრადი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში, სარწმუნო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რომელი მეთოდის საფუძველზეც საწარმო უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმო ასახავს ცვლილების შედეგს ფაქტობრივად და გარემოებების მიხედვით ან ახალი ინფორმაციის შედეგს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე, წინასწარი აღრიცხვის ცვლილების სახით. ცვლილებების მაგალითები ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელმეორედ შეფასება, მოიცავს და არა მხოლოდ შემოწმებებს ან ქმედებებს საგადასახადო ორგანოს მიერ, ცვლილებებს წესებში, რომელიც დადგენილია საგადასახადო ორგანოს მიერ ან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო რეჟიმის შემოწმების ან განმეორებით შემოწმების უფლების ამოწურვა. საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შეთანხმების არარსებობა ან უთანხმოება არ მოიცავს ცვლილებას ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, როემლცი გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე. კომპანია ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 16 - იჯარა (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება 2019 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე.

ფასს 16 - იჯარა (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება 2019 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 17 სტანდარტს და მის ინტერპრეტაციებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ფასს 16-ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი სტანდარტის (ბასს 17-ის) მიდგომისგან. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია დაიწყებს ფასს 16 სტანდარტის გამოყენებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში მაშინ, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ამ სტანდარტის გამოყენებას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კომპანიის მიერ აღიარებული შემოსავლების რაოდენობაზე. თუმცა, დეტალური განხილვის ჩატარების გარეშე რთულია აღნიშნული ეფექტის განსაზღვრა. მენეჯმენტი არ იყენებს IFRS 16-ს საკუთარ ანგარიშგებებში

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სათამაშო აპარატები	ლიზინგით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	**1,010,818**	**45,900**	**461,321**	**7,666,087**	**1,062,442**	**10,246,567**
მიღება	12,704	-	-	531,024	3,315	**547,043**
გასვლა	-	-	-	85,381	771,377	**856,758**
ბალანსი 31.12.2020 წლის მდგომარეობით	**1,023,522**	**45,900**	**461,321**	**8,111,730**	**294,380**	**9,936,853**
ცვეთა						
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	**(870,114)**	**(14,820)**	**(437,385)**	**(5,191,149)**	**(909,000)**	**(7,422,469)**
პერიოდის ცვეთა	(43,636)	(9,180)	(7,497)	(927,199)	(22,255)	(134,873)
ჩამოწერა	-	-	-	81,323	762,984	(30,587)
ბალანსი 31.12.2020 წლის მდგომარეობით	**(913,751)**	**(24,000)**	**(444,883)**	**(6,037,025)**	**(168,271)**	**(7,587,929)**
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	**140,703**	**31,080**	**23,936**	**2,474,938**	**153,442**	**2,824,098**
ბალანსი 31.12.2020 წლის მდგომარეობით	**109,771**	**21,900**	**16,438**	**2,074,705**	**126,110**	**2,348,924**

6. გაცემული სესხები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მისაღები პროცენტები	-	285,240
მისაღები ძირი	-	320,950
სულ გაცემული სესხები	-	606,190

7. არამატერიალური აქტივები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
პროგრამა	157,872	241,582
ლიცენზიები	-	-
სულ არამატერიალური აქტივები	**157,872**	**241,582**

9. მარაგები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ბარის ინვენტარი	783,012	1,281,272
ნედლეული და მასალები	1,262	1,764
სათამაშო აპარატების სათადარიგო ნაწილები	716,975	685,550
სულ მარაგები	**1,501,249**	**1,968,586**

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სავაჭრო მოთხოვნები	789,870	1,091,380
სხვა მოთხოვნები	-	27,820
თანამშრომლების მიმართ არსებული მოთხოვნები	21,272	373
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	807,301
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**811,142**	**1,926,874**

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	375,159	359,893
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	262,359	960,990
სალაროს უცხოურ ვალუტაში	4,426	7,352
სალარო ეროვნულ ვალუტაში	821,766	978,482
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,463,710	2,306,717

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც ჯგუფს მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

12. სესხები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
გადასახდელი ძირი	-	1,283,800
სულ გრძელვადიანი სესხები	**-**	**1,283,800**

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სავაჭრო ვალდებულებები	3,624,255	2,106,984
მიღებული ავანსები		478,506
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**3,624,255**	**2,585,491**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

14. შემოსავალი

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	8,779,548	38,662,621
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,210,191	1,239,738
შემოსავალი იჯარიდან	483,756	1,006,140
სხვა შემოსავალი	728	258
სულ შემოსავალი	**10,474,222**	**40,908,757**

15. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
იჯარის ხარჯი	972,071	2,865,527
ხელფასის ხარჯი	1,105,578	1,909,900
ცვეთა და ამორტიზაცია	1,093,477	1,270,097
მარკეტინგის ხარჯი	17,131	70,174
მომსახურების ხარჯი	130,285	332,013
კომუნალურის ხარჯი	113,979	250,478
შეკეთების ხარჯი	161,553	711,525
წარმომამადგენლობითი ხარჯი	31,261	102,067
აუდიტის ხარჯი	-	19,993
კომუნიკაციის ხარჯი	27,748	91,950
დაზღვევის ხარჯი	1,531	7,419
თანამშრომელთა ბენეფიტები	-	-
ტრანსპორტირების ხარჯი	36,490	27,236
საკონსულტაციო ხარჯი	-	-
მოთამაშეებზე გაცემული მოგებული თანხები	6,363,970	26,519,440
მოთხოვნების ჩამოწერის ხარჯი	391,551	-
სხვა ხარჯი	253,969	963,869
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	**10,700,595**	**35,141,686**

16. არასაოპერაციო შემოსავალი

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
საპროცენტო შემოსავალი	1,145	129,784
არასაოპერაციო შემოსავალი	24,073	21,079
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	**25,219**	**150,862**

17. მიღებული დივიდენდი დაკავშირებული კომპანიისგან

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
შემოსავალი დივიდენდებიდან	178,947	789,474
სულ მიღებული დივიდენდი დაკავშირებული კომპანიისგან	**178,947**	**789,474**

18. საგადასახადო ხარჯი

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,424,968	3,377,546
ჯარიმები და საკომისიოები	2,987	4,368
სხვა საგადასახადო ხარჯი	11,890	21,751
ქონების გადასახადის ხარჯი	24,910	17,493
სულ საგადასახადო ხარჯი	**1,464,755**	**3,421,159**

19. ფინანსური ხარჯი

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ბანკის საკომისიო	2,705	12,621
საპროცენტო ხარჯი	33,471	193,925
სულ ფინანსური ხარჯი	**36,176**	**206,545**

23. მოგების გადასახადი

2017 ფინანსური წლის დასაწყისიდან მოხდა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადს და რომლის მიხედვითაც კომპანია ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მხოლოდ დივიდენდის გაცემის მომენტში (რამდენიმე გამონაკლისით), ფასს და საგადასახადო მიზნებით მიღებული მოგება შესაბამისად ამ ცვლილებების შემდეგ ერთმანეთს გაუტოლდება და გადავადებული გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს კომპანია მომავალში ვეღარ გამოიყენეს, შესაბამისად მოხდა მათი ელიმინაცია ანგარიშგებიდან.

24. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

25. **ფინანსური რისკის მართვა**

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 31 დეკემბრის 2019 და 2020 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2019 -2020 წლებში მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი, 2020 ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,624,255	-	-	3,624,255
მიღებული სესხები	-	-	-	-
მიღებული ავანსები	-	-	-	-

31 დეკემბერი, 2019

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,106,984	-	-	2,106,984
მიღებული სესხები	1,283,800	-	-	1,283,800
მიღებული ავანსები	478,506	-	-	478,506

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

26. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოდ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ

	31 დეკემბერი, 2020		31 დეკემბერი, 2019	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	1,463,710	1,463,710	2,306,717	2,306,717
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	811,142	811,142	1,926,874	1,926,874
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,624,255	3,624,255	2,106,984	2,106,984
ინვესტიციები	1,894,322	1,894,322	3,818,398	3,818,398

27. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

(a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
(c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
(d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
(e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
(f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
(g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომელბისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შპს „მონაკო"-ს შვილობილი კომპანიების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში:

საიდენტიფიკაციო ნომერი	შვილობილი კომპანია	წილი	სტატუსი
405133154	შპს ინთერნეიშენალ გემბლინგ კომპანი	50%	არააქტიური
401999478	LLC Monaco Services	100%	მოქმედი
401999511	მონაკო 2014	100%	არააქტიური
400110492	შპს ბათუმი 2014	50%	მოქმედი

შპს „მონაკომ" შპს „ბათუმი 2014"-ისგან მიიღო დივიდენდი 178,947.37₾ ოდენობით.

შპს „მონაკო სერვისისგან" მიიღო სათამაშო აპარატების და საწყობის იჯარის მომსახურება 369,306₾ ოდენობით. ვალდებულების საწყისი ნაშთი შეადგენდა 243,716₾, აქედან დაიფარა 597,522₾ და დარჩა გადასახდელი 15,500₾ 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

2019 წელს შპს ,მონაკო სერვისზე" გაცემული იყო სესხი, ძირი თანხა შეადგენდა 320,950 ₾ პროცენტი 65,597₾. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულება სრულად იქნა დაფარული.

მენეჯმენტის კომპენსაცია	2020	2019
დირექტორი	195,178	163,338

28. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვენით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და პერიოდის მოგება.

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 25 მარტს. კომპანიის საქმიანობა დროებით შეჩერდა Covid 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „ მონაკო“

მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

31 დეკემბერი 2020

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მონაკო“ (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 6 მაისი

დირექტორი

ბუღალტერი

MONACO
404420408
GEORGIA. "MONACO" LTD

დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი

ბატონებო,

გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

1. კომპანიამ მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
2. ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიმჩნევია რაიმე არსებითი შეუსაბამობები რაც მიგვანიშნებდა რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აბზაცებთან, რომელიც მიჯნავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს, ერთად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებულნი არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე7-პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;

- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორაციას რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

2022 წლის 25 მარტს გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

აუდიტორი

დავით გვეტაძე

PKF KAZIEN * 205198212 * PKF

ზოგადი ინფორმაცია

"მონაკო" არის შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება (ს/ნ 404420408), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად 2012 წლის 12 აპრილიდან. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი. კომპანია ოპერირებს სათამაშო ბიზნესის სფეროში და გააჩნია ელექტრონული სამორინე.

კომპანიის 100%-ის მფლობელია შპს „სტარგეინ ინვესტმენტს"-ი, კვიპროსი.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - ზვიად მუკბანიანი.

შპს „მონაკო"-ს შვილობილი კომპანიების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში:

საიდენტიფიკაციო ნომერი	შვილობილი კომპანია	წილი	სტატუსი
405133154	შპს ინთერნეიშენალ გემბლინგ კომპანი	50%	არააქტიური
401999478	LLC Monaco Services	100%	მოქმედი
401999511	მონაკო 2014	100%	არააქტიური
400110492	შპს ბათუმი 2014	50%	მოქმედი

ბაზრის მიმოხილვა

საქართველოში ეკონომიკური წარმოება ლიბერალიზებულია შესაბამისად, მეზობელ ქვეყნებთან, სამხრეთ კავკასიაში, ქვეყანა იმ მცირე ჯგუფში შედის, სადაც კაზინოების ბიზნესი დასაშვებია. საქართველო მსოფლიო ბანკის მონაცემებით მე-7 ადგილზეა ბიზნესის თავისუფალი ეკონომიკური წარმოებით.

საქართველოში აზარტული თამაშები პოპულარულია, შესაბამისად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტისთვის. სათამაშო ბიზნესით დაკავებული საწარმოების ბრუნვამ და შემოსავალმა შეადგინა:

2018 წელს ბრუნვა -13 806 800 000 ლარი; შემოსავალი - 1 207 700 000

2019 წელს ბრუნვა -25 860 000 000 ლარი; შემოსავალი - 1 593 300 000

2020 წელს ბრუნვა - 32 091 300 000 ლარი; შემოსავალი - 1 374 000 000



საქმიანობა და სტრატეგია

სათმაშო ბიზნესი ქვეყნის ბიზნეს სექტორის და ზოგადად ეკონომიკის სპეციფიკური სეგმენტია, რომლის მიმართაც არსებობს სხადასხვაგვარი დამოკიდებულება. კერძოდ, სათამაშო ბიზნესი ქმნის ეკონომიკაში განსაზღვრულ დამატებულ ღირებულებას და ამავე დროს მიიჩნევა, რომ მისი ფუნქციონირება ყოველთვის დაკავშირებილია გარკვეულ სოციალურ დანაკარგებთან.

სტრატეგიული მენეჯმენტი მოწოდებულია, გაზარდოს ცვლილებებისადმი ორგანიზაციის ადაპტაციის უნარი. ცვლილებები, ერთი მხრივ, წარმოშობს საფრთხეებს, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ბიზნესისთვის ახალი შესაძლებლობების წყაროა. მაგალითად, ინტერნეტის გამოყენებამ საფუძველი დაუდო ელექტრონული კომერციის უსწრაფეს განვითარებას. ამასთან, მუდმივად გათვალისწინებულია ისიც, რომ სწრაფად ცვალებადი კონკურენტული გარემოცვის პირობებში ინოვაცია დიდხანს არ ინარჩუნებს სიახლეს. სტრატეგია, რომელსაც იყენებს კომპანია, სწრაფად იქცევა ტიპურად, ანუ აღარ წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის წყაროს, ამიტომ, დიდი ყურადღება ეთმობა ცვლილებებს. სტრატეგიული მენეჯმენტის სახით კომპანია იყენებს სამ უმთავრეს პრინციპს, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. **ბაზარზე სტრატეგიული ქმედებების მართვა:** იმ სტრატეგიის შემუშავება, დაზუსტება და რეალიზება, რომელიც იძლევა ბაზარზე წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. სტრატეგია, არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც იცვლება ურთიერთობები პარტნიორებთან და კონკურენტებთან სწორედ მისი რეალიზების მეშვეობით აღწევს ორგანიზაცია კონკურენტულ უპირატესობას.
2. **ორგანიზაციის მართვა:** ორგანიზაციის შიდა ცვლილებები განსაზღვრავს ბაზარზე მისი მოღვაწეობის მიმართულებებს. ამგვარი ცვლილებების გარეშე ორგანიზაცია ვერ შეძლებს, შეცვალოს საკუთარი მახასიათებლები: ტექნიკური აღჭურვა, ორგანიზაციული სტრუქტურა და მასში დასაქმებული ხელმძღვანელებისა და სხვა თანამშრომლების პროფესიული ოსტატობა. ორგანიზაციული ცვლილებები გარე გარემოს ცვალებადობაზე რეაგირების,

მათთან ადაპტირების და საკუთარი მიზნებისთვის მათი გამოყენების საშუალებას აძლევს კომპანიას.

3. **სტრატეგიული მენეჯმენტის რეალიზება:** ნიშნავს ურთიერთქმედებას სტრატეგიასა (ის, რასაც ორგანიზაცია აკეთებს ბაზარზე) და ორგანიზაციულ პროცესებს შორის (ის, რაც საკუთრივ ორგანიზაციაში ხდება).

კომპანიის მიერ კონკურენტულ გარემოში მიმდინარე და მოსალოდნელ ცვლილებათა ცოდნის სიღრმე დიდწილად განსაზღვრავს ბაზარზე მის ქცევას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია აღნიშნული ცვლილებების წინასწარ განჭვრეტის უნარი, აგრეთვე, მათი გამოწვევა და საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება. კომპანია ატარებს შემდეგ ცვლილებებს თავისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად - მასშტაბის, კომპანიის გარეგნობის, კომპანიის მიზნების - მიმართულება.

ნებისმიერი კომპანიისათვის ბიზნესის მოცულობასთან დაკავშირებული საკითხები ცენტრალურია. მასშტაბების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მან რეალურად უნდა შეაფასოს მის ხელთ არსებული რესურსები და ამის შესაბამისად შეარჩიოს ხელმისაწვდომი ვარიანტები. არც ერთ კომპანიას არ შეუძლია, ბაზარს შესთავაზოს პროდუქციის ან მომსახურების უსასრულო არჩევანი. თვით პარტნიორების დახმარებითაც კი, მას არ ძალუძს, მოიცვას ყველა პოტენციური მომხმარებელი. რეალურად, მხოლოდ მცირე მათგანს შეუძლია იმოქმედოს საკუთარი დარგის ყველა სეგმენტზე, ამიტომ მასშტაბის განსაზღვრისას ორგანიზაცია ირჩევს იმ "სათამაშო მოედანს", რომელიც ყველაზე უკეთ პასუხობს მის ინტერესებს და შესაძლებლობებს. სწორედ აქ გააჩნია მას ყველაზე წონადი კონკურენტული უპირატესობა.

სოციალური პასუხისმგებლობა

კომპანია ახორციელებს საქმიანობას კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით. მონაწილეობს სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებში.

გამჭვირვალობა

კომპანია ახორციელებს თავის საქმიანობას გამჭვირვალედ, ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით.

დასაქმება და თანამშრომლები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 74 ადამიანი, კომპანია თანაბარ პოზიციაში განიხილავს სხვადასხვა ასაკის, გენდერის და ეროვნების ადამიანთა დასაქმებას. კომპანია თანაბრად აძლევს დასაქმებულებს განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობას. ახალი ვაკანსიის არსებობისას პირველ რიგში ხდება შიდა კადრების შესაძლებლობების განხილვა და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ოფიციალური წყაროების საშუალებით კადრების შერჩევა. პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიზნით კომპანია რეგულარულად ახდენს კადრების გადამზადებას როგორც შიდა, ასევე მოწვეული ტრენერების მეშვეობით.

განვითარება და ინოვაციები.

კომპანიის სტრატეგიული მიზანია მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზება და ამ გზით შემოსავლებისა და მოგების ზრდა.

ამასთანავე კომპანია მუდმივად ახალი პროექტების განვითარებისა და ბიზნესის ზრდის შესაძლებლობების ძიებაშია. საზოგადოება მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ მწარმოებლებთან და ახდენს ადგილობრივი პროდუქციის რეალიზებას.

სამომავლოდ მენეჯმენტს მიზნად აქვს დასახული შემდეგი სახის გეგმები:

➢ინდუსტრიის განვითარება და ახალი აზარტული თამაშების შეთავაზება, რათა მომხმარებლების გამოცდილება და კმაყოფილება გაზარდონ;

➢ გაზარდონ ბაზარი, რაც გულისხმობს სხვადასხვა კამპანიების წარმართვას, ტურისტების მოსაზიდად, რომ აჩვენონ მეგობრული და სასიამოვნო გარემო;

➢ განავითარონ პროგრამული უზრუნველყოფა, რათა ბიზნეს პროცესები უფრო დახვეწილი იყოს

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევები. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. აღნიშნულ საფრთხეებთან ბრძოლისათვის და დროულად გამოვლენისათვის კომპანიას გააჩნია რესურსები, როგორც ტექნიკური - დანერგილია პროგრამა, ასევე ადამიანური - გამოყოფილია შესაბამისი პასუხისმგებელი მუშაკი.

ფინანსური რისკების მართვა.

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- სავალუტო რისკი;

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი.

ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ხელმძღვანელობის პოზიციით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი:

31 დეკემბერი, 2020 ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,624,255	-	-	3,624,255
მიღებული სესხები	-	-	-	-
მიღებული ავანსები	-	-	-	-

31 დეკემბერი, 2019 ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,106,984	-	-	2,106,984
მიღებული სესხები	1,283,800	-	-	1,283,800
მიღებული ავანსები	478,506	-	-	478,506

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით.

- უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს, კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, რადგან ოპერაციები ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

COVID-19

2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში ოფიციალურად 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში საქმიანობებზე გარკვეული შეზღუდვები დააწესა მათ შორის შემოიღო დროებით საგანგებო მდგომარეობა. 2020 წლის 22 მაისს, საქართველოს მთავრობამ მოხსნა საგანგებო მდგომარეობა რიგი შეზღუდვების შენარჩუნებით. 2020 წლის 8 ივნისს სხვა ეკონომიკური საქმიანობაც იქნა დაშვებული, მათ შორის სასტუმროების და გართობის სექტორში, თუ საკარანტინო სივრცე სწორად იქნებოდა მოწყობილი და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად კომპანიები მიიღებდნენ შესაბამის დადებით დასკვნას. თუმცა, შეზღუდვები კვლავ ძალაში დარჩა კაზინოებისთვის. 2020 წლის შემოდგომას, ქვეყანაში განახლდა რიგი შეზღუდვები, რაც გულისხმობდა ძირითადად რესტორნების, სასტუმროებისა და მთელი რიგი ობიექტების (სტუმარმასპინძლობის სექტორი) დახურვით.

ზემოთხსენებული შეზღუდვების შედეგად, 2020 წლის 17 მარტს, კომპანიამ დახურა კაზინო და ყველა თავისი ოპერაცია შეაჩერა. კომპანიამ მხოლოდ 2021 წლის აპრილიდან შეძლო საოპერაციო საქმიანობის განახლება .

ამ მომენტისათვის ძირითად გამოწვევად რჩება Covid19 პანდემიასთან დაკავშირებული რისკები. საოპერაციო საქმიანობის გარე რისკ ფაქტორებს ყურადღებით აკვირდება კომპანიის მენეჯმენტი, აანალიზებს და სახელწიფოს შესაბამისი ორგანოებიდან გამოცემული რეკომენდაციებისა თუ დადგენილებების შესასრულებლად მუდმივ მზადყოფნაშია.